საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10615/01
10/11/2020

10615-01-2-202011101659

შპს „აგროსისტემს ჯი“-ს დირექტორს
ბატონ სულხან ხარშილაძეს
მის: *ქ. თბილისი, ფეიქართა ქ. N2 ა*

ბატონო სულხან,

სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 22 ოქტომბრის N16633 განცხადება, რომელიც ეხება გორის მუნიციპალიტეტში, სოფ შინდისის ტერიტორიაზე ბიო პროდუქტების (კონცენტრირებული თხევადი სასუქების) დამამზადებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ექვემდებარება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობა, რომელიც სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ამასთან, თუ საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა. გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის რომელი პუნქტის შესაბამისად არის წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება.

როგორც სამინისტროს მიმდინარე წლის 20 აგვისტოს N7975/01 წერილით გეცნობათ, საკითხის განხილვის მიზნით, საჭიროა სამინისტროში წარმოდგენილ იქნას **დეტალური ინფორმაცია წარმოების მეთოდების და ტექნოლოგიური სქემის შესახებ,** ასევე გამოყენებული იქნება თუ არა წარმოების ციკლში ქიმიური პროცესები.

ამასთან გაცნობებთ, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენას და დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

- განცხადების მიხედვით, „საწარმოო მიზნებისთვის წყლის გამოყენება მოხდება მხოლოდ ბიო პროდუქტების დამზადების პროცესში, ნედლეულზე დამატების მხრივ. წყალი რომელიც დარჩება პროდუქციის დამზადების შემდგომ არ

გადაიქცევა ნარჩენად, არამედ ჩაბრუნდება თავიდან პროდუქციის დასამზადებლად“. დაზუსტებას საჭიროებს რას გულისხმობს აღნიშნული „ჩაბრუნების“ პროცესი, კერძოდ, როგორ და რა სახის წყლის ბრუნვითი სისტემაა გათვალისწინებული ტექნოლოგიურ პროცესში. ამასთან, განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საყოფაცხოვრებო და საწარმოო დანიშნულებით გამოსაყენებელი წყლის რაოდენობის და სამეურნეო წყლების მართვის შესახებ ინფორმაცია;

- ინფორმაცია წარმოებაში გამოსაყენებელი ნედლეულის შესახებ (მათი რაოდენობა, ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლები, განთავსებისა და ტრანსპორტირების პირობები);
- განცხადების მიხედვით, წარმოება განხორციელდება „კაპიტალურად აშენებულ“ შენობაში. განცხადებაში წარმოდენილი უნდა იყოს ინფორმაცია სამშენებლო პროცესის (მათ შორის მასშტაბი, ხანგრძლივობა) და აღნიშნულ პროცესში წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების შესახებ, ასევე ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედების საკითხები;
- წარმოების პროცესისა და გამოსაყენებელი ნედლეულის გათვალისწინებით, ინფორმაცია ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შესახებ, მათ შორის მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით დაზუსტებული სკრინინგის განცხადება.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე